

საერთაშორისო საფოსტო გზავნილის გაგზავნისას მისი თანმხლები ფორმების (CN22; CN23; CP72; CN23EMS) შევსების ინსტრუქცია

სარჩევი

1. ზოგადი ნაწილი.....	2
2. ფორმების გამოყენება გზავნილის სახეობისა და მისი შიგთავსის მიხედვით.....	2
3. CN 22 ფორმა.....	4
4. CN 23 ფორმა.....	7
5. CP 72 ფორმა.....	11
6. CN 23 EMS ფორმა.....	15

1. ზოგადი ნაწილი

1.1. მოცემულ დოკუმენტში აღწერილია საერთაშორისო საფოსტო გზავნილების (წერილობითი კორესპონდენციის, ამანათის და EMS გზავნილის) გაგზავნის შემთხვევაში, სავალდებულო წესით დასართავი ფორმების შევსების ინსტრუქცია.

2. ფორმების გამოყენება გზავნილის სახეობისა და მისი შიგთავსის მიხედვით

2.1. ქვეყნის გარეთ გასაგზავნი გზავნილის სახეობების მიხედვით გამოიყენება შემდეგი ფორმები:

- 2.1.1. საერთაშორისო წერილობითი კორესპონდენცია - CN22 ან CN23.
- 2.1.2. საერთაშორისო რეგისტრირებული ამანათი - CP72.
- 2.1.3. საერთაშორისო EMS გზავნილი - CN 23 EMS.

2.2. ფორმების შევსება ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში:

- 2.2.1. CN22 ან CN23-ის შევსება სავალდებულოა წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნისას. გამონაკლისია ისეთი გზავნილი, რომლის შიგთავსსაც წარმოადგენს საბაჟო გადასახადებით დაბეგვრისაგან განთავისუფლებული საგანი (წერილი; საფოსტო ბარათი; ბეჭდვითი გამოცემა (გარდა წიგნისა); კორესპონდენცია ან უსინათლოთათვის განკუთვნილი გზავნილი).


განმარტება:

- CN22-ის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:
 - ა) გამგზავნი არ აზღვევს გზავნილის შიგთავსს;
 - ბ) შიგთავსის ღირებულება 300 SDR-ზე ნაკლებია;
 - გ) გამგზავნს არ სურს გასაგზავნი საქონლის დეკლარირება.
- CN23-ის გამოყენება დასაშვებია წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნის ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა რა ღირებულებისაა მისი შიგთავსი, გამგზავნი აზღვევს თუ არა გზავნილს და/ან სურს თუ არა მისი დეკლარირება.
 - 2.2.2. საერთაშორისო რეგისტრირებული ამანათის გაგზავნისას, CP72-ის შევსება სავალდებულოა, საერთაშორისო რეგისტრირებული ამანათის გაგზავნის ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა რა არის მისი შიგთავსი.
 - 2.2.3. საერთაშორისო EMS გზავნილის გაგზავნისას CN 23 EMS-ის შევსება სავალდებულოა საერთაშორისო EMS გზავნილის გაგზავნის ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა რა არის მისი შიგთავსი.

- 2.3. საბაჟო პროცედურების დაჩქარების მიზნით, სავალდებულოა ფორმების ყველა ველი იყოს სწორად და სრულყოფილად შევსებული, ლათინური ასოებისა და არაბული ციფრების გამოყენებით.
- 2.4. ფორმები, რომელთა შევსებაც ელექტრონულად ხდება, გამგზავნისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ივსება „საქართველოს ფოსტის“ შესაბამისი თანამშრომლის მიერ, ხოლო სტამბური წესით ნაბეჭდი ფორმების შევსების ვალდებულება გააჩნია გამგზავნს. გამგზავნის სურვილის შემთხვევაში, მისი სახელით შესაბამისი ფორმის შევსების უფლებამოსილება შესაძლოა დაეკისროს „საქართველოს ფოსტის“ შესაბამის თანამშრომელს. მიუხედავად იმისა თუ ვის მიერ ხდება ფორმის შევსება, მასში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხს აგებს გამგზავნი. გამგზავნს საშუალება აქვს გზავნილის გაგზავნამდე გაეცნოს ფორმაში შეტანილ ინფორმაციას და იმის დასტურად, რომ მონაცემები სწორია და გზავნილი არ შეიცავს კანონმდებლობით და საფოსტო ან საბაჟო რეგულაციებით აკმალულ ნივთებს - ფორმას მოაწეროს ხელი.

3. CN 22 ფორმა

- 3.1. CN22 ფორმის ამობეჭდვა შესაძლებელია როგორც „WoodooPost“ პროგრამიდან, ასევე შესაძლებელია სტამბურად ნაბეჭდი ფორმის გამოყენება.
- 3.2. CN22 ფორმა გზავნილს ერთვის ერთ ეგზემპლარად.
- 3.3. CN22 ფორმას აქვს შემდეგი სახე:

გზავნილის მტრისკოდი	საქართველოს ფოსტა /GEORGIAN POST Tel: (+995 32)224 09 09 E-mail: info@gpost.ge					
Customs declaration /საბაჟო დეკლარაცია		May be opened officially/ შეიძლება გაიხსნას სასამსახურე წესით		CN22		
Sender/გამგზავნი (1) Name/ვინაობა: Address/მისამართი: Phone/ტელ:		საქართველოს ფოსტა /GEORGIAN POST Tel: (+995 32)224 09 09 E-mail: info@gpost.ge <input type="checkbox"/> Gift/საჩუქარი <input type="checkbox"/> Commercial sample / კომერციული ნიმუში (3) <input type="checkbox"/> Documents/დოკუმენტი <input type="checkbox"/> Returned goods /დაბრუნებული საქონელი <input type="checkbox"/> Sale of goods/გასაყიდი საქონელი <input type="checkbox"/> Other (please specify)/სხვა (დააკონკრეტეთ):.....				
Addressee/ადრესატი (2) Name/ვინაობა: Address/მისამართი: Phone/ტელ:		Quantity and detailed description of contents/რაოდენობა და მიგთავსის დეტალური აღწერა (4)	Net weight/სუფთა წონა (5)	Value and currency/ღირებულება და ვალუტა (6)	HS tariff number/HS კოდი (7)	Country of Origin/წარმოშობის ქვეყანა (8)
		Total weight (in kg)/საერთო წონა (კგ-ში) (9)		Total value /საერთო ღირებულება (10)		
		I, the undersigned, whose name and address are given on the item certify that the particulars given in this declaration are correct and that this item does not contain any dangerous article or articles prohibited by legislation or by postal or customs regulations./ მე (ვინაობა და მისამართი მითითებული გზავნილზე) ვადასტურებ ამ საბაჟო დეკლარაციის მონაცემების სისწორეს, აგრეთვე იმას, რომ გზავნილი არ შეიცავს კანონმდებლობით ან საფოსტო, ან საბაჟო რეგულაციებით აკრძალულ ნივთებს				
Phone/ტელ:		Date and sender's signature/თარიღი და გამგზავნის ხელმოწერა (11)				

CN 22 ფორმის შევსებული ნიმუში

	საქართველოს ფოსტა / GEORGIAN POST Tel: (+995 32)224 09 09 E-mail: info@gpost.ge					
	Customs declaration / საბაჟო დეკლარაცია		May be opened officially / შეიძლება გაიხსნას სასამართლო წესით			
Sender / გამგზავნი Name / ვინაობა: Irakli Metreveli Address / მისამართი: Tbilisi, Tsone Dadiani Street: N:45 Phone / ტელ.: 55475-54-26		საქართველოს ფოსტა / GEORGIAN POST Tel: (+995 32)224 09 09 E-mail: info@gpost.ge <input type="checkbox"/> Gift / საჩუქარი <input type="checkbox"/> Documents / დოკუმენტი <input checked="" type="checkbox"/> Sale of goods / გასაყიდი საქონელი		Commercial sample / კომერციული ნიმუში Returned goods / დაბრუნებული საქონელი Other (please specify) / სხვა (დააკონკრეტეთ): _____		
Addressee / ადრესატი Name / ვინაობა: Hans Zeiger Address / მისამართი: Langenhorner Chaussee 600 22419 Hamburg, Germany Phone / ტელ.: +49 - (40) - 300 30 - 1000		Quantity and detailed description of contents / რაოდენობა და შიგთავსის დეტალური აღწერა	Net weight / სუფთა წონა	Value and currency / ღირებულება და ვალუტა	HS tariff number / HS კოდი	Country of Origin / წარმოშობის ქვეყანა
		2 (two) men's cotton shirts	0.500kg	50 GEL	620520	Turkey
		Total weight (in kg) / საერთო წონა (კგ-ში)		Total value / საერთო ღირებულება		
		0.500kg		50GEL		
I, the undersigned, whose name and address are given on the item certify that the particulars given in this declaration are correct and that this item does not contain any dangerous article or articles prohibited by legislation or by postal or customs regulations. / მე (ვინაობა და მისამართი მითითებული გზავნილზე) ვადასტურებ ამ საბაჟო დეკლარაციის მონაცემების სისწორეს, აგრეთვე იმას, რომ გზავნილი არ შეიცავს კანონმდებლობით, ან საფოსტო, ან საბაჟო რეგულაციებით აკრძალულ ნივთებს						
Date and sender's signature / თარიღი და გამგზავნის ხელმოწერა						

3.4. CN 22 ფორმა აერთიანებს სამისამართო ბლანკს და საბაჟო დეკლარაციას.

3.5. CN22 ფორმის ზედა მარცხენა კუთხეში ხორციელდება გზავნილის საიდენტიფიკაციო შტრიხკოდის მითითება.

3.6. CN 22 ფორმის ველების შევსება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

- (1) მიუთითეთ გამგზავნი ფიზიკური/იურიდიული პირის სრული მონაცემები (ვინაობა, ქვეყანა, ქალაქი/დასახლებული პუნქტი, საფოსტო ინდექსი, მისამართი, ტელ. ნომერი). ინფორმაციის გადამოწმება - რამდენად სავალდებულოა ამა თუ იმ ქვეყანაში გასაგზავნ გზავნილზე ტელეფონის ნომრის მითითება, შესაძლებელია „საქართველოს ფოსტის“ ვებ გვერდზე, დახმარების ველში (<http://www.gpost.ge/?site-lang=ka&site-path=help/requirements/>).
- (2) მიუთითეთ ადრესატის ფიზიკური/იურიდიული პირის სრული მონაცემები (ვინაობა, ქვეყანა, ქალაქი/დასახლებული პუნქტი, საფოსტო ინდექსი, მისამართი, ტელ. ნომერი).
- (3) აირჩიეთ გზავნილის კატეგორია: „საჩუქარი“, „დოკუმენტი“, „გასაყიდი საქონელი“, „კომერციული ნიმუში“, „დაბრუნებული საქონელი“, ან „სხვა (დააკონკრეტეთ)“. აღნიშნული კატეგორიებიდან შესაძლებელია მხოლოდ ერთის მონიშვნა იმისდა მიხედვით თუ რა

დანიშნულებით იგზავნება გზავნილი . თუ გზავნილი კომერციული დანიშნულებით იგზავნება (მაგ ხორციელდება გზავნილში მოთავსებული ნივთის გაყიდვა) დაუშვებელია მონიშნოთ კატეგორია „კომერციული ნიმუში“.

- (4) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსის მაქსიმალურად დეტალური აღწერა (დაუშვებელია ზოგადი აღწერა, მაგალითად, როგორცაა „ტანსაცმელი“), რაოდენობა და ერთეული (მაგ.ცალი, შეკვრა და ა.შ.) თითოეული ნივთისთვის, მაგ: „მამაკაცის 2 ცალი ზამბის პერანგი“.

შენიშვნა: თუ ფორმის ველის ზომის სიმცირის გამო, ვერ ხდება ყველა იმ ნივთის აღწერა(ჩამოთვლა), რომელიც გამგზავნს სურს, რომ კონკრეტული გზავნილით გაიგზავნოს, რეკომენდირებულია ერთი გზავნილის ფარგლებში გაიგზავნოს მხოლოს ის ნივთები, რომელთა ჩამონათვალიც მოცემული იქნება ფორმაში.

გამგზავნმა უნდა გაითვალისწინოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ფორმაზე დატანილი ინფორმაცია გზავნილის შიგთავსის შესახებ არ დაემთხვევა რეალურად მასში მოთავსებულ ნივთებს, იარსებებს გზავნილის მთლიანად, ან მასში მოთავსებული ცალკეული ნივთების ჩამორთმევის და/ან გამგზავნის/ადრესატის დაჯარიმების საფუძველი - როგორც გამგზავნი, ასევე ტრანზიტული და დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურების, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და/ან საფოსტო ადმინისტრაციების მხრიდან.

- (5) თითოეული ნივთისთვის მიუთითეთ წონა. ამასთან, თუ (4) ველში მითითებულია ერთზე მეტი რაოდენობა, ჩაიწერება ამავე ველში აღნიშნული ნივთის საერთო წონა. მაგ. „მამაკაცის 2 ცალი ზამბის პერანგის საერთო წონა: 0.5კგ.
- (6) თითოეული ნივთისთვის (მისი რაოდენობის გათვალისწინებით) მიუთითეთ ღირებულება შესაბამის ვალუტაში, მაგ: „მამაკაცის 2 ცალი ზამბის პერანგის ღირებულება - 50 GEL და ა.შ.
- (7) მხოლოდ კომერციული დანიშნულების გზავნილების შემთხვევაში მიუთითეთ სეს ესნ (HS) კოდი (6 ციფრი), რომელიც დადგენილია მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ.

გამგზავნმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კომერციული დანიშნულების გზავნილის სეს ესნ (HS) კოდის გარეშე გაგზავნის შემთხვევაში, მისი გზავნილი შესაძლოა დაექვემდებაროს როგორც გამგზავნი, ასევე ტრანზიტული და/ან დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურების მიერ შეჩერებას, რაც ვერ ჩაითვლება „საქართველოს ფოსტის“ ბრალეულობად.

- (8) მხოლოდ კომერციული დანიშნულების გზავნილების შემთხვევაში მიუთითეთ გამოშვების ქვეყანა - სადაც დამზადებულია, წარმოებულია ან აწყობილია ნივთი/საქონელი.
- (9) მიუთითეთ ნივთების საერთო წონა, რომელიც გულისხმობს გზავნილის საერთო წონას, მისი შეფუთვის ჩათვლით.
- (10) მიუთითეთ ნივთების საერთო ღირებულება, შესაბამის ვალუტაში.
- (11) გამგზავნი ხელმოწერით აფიქსირებს ფორმაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეს.

4. CN 23 ფორმა

4.1. CN 23 ფორმა სტამბურად დაბეჭდილია კოპირებად ქაღალდზე, 4 ეგზემპლარად. შევსებული ფორმის პირველი ეგზემპლარის ქსეროასლი რჩება „საქართველოს ფოსტაში“, ფორმის მეოთხე პირი (ყვითელი) უნდა გადაეცეს გამგზავნს, ხოლო დანარჩენი სამი პირი (თეთრი, ცისფერი და ვარდისფერი) უნდა დაერთოს გზავნილს, რომელთაგან ერთ პირს დაიტოვებს მიმღები ქვეყნის საბაჟო სამსახური, მეორეს - მიმღები საფოსტო ოპერატორი, ხოლო მესამე - გადაეცემა ადრესატს.

4.2. CN23 ფორმას აქვს შემდეგი სახე:

GEORGIAN POST / საქართველოს ფოსტა <small>Tel (+995 32)224 09 09 E-mail: info@ppost.ge</small>					CN 23 <small>May be opened officially შეიძლება გაიხსნას სასამართლო წესით</small>			
(1)	Name/სახელი Business/ორგ. დასახელება		Sender's customs reference (if any) / გამგზავნის სასაბაჟო რეგისტრაციის ნომერი (3)		<div style="border: 1px solid black; width: 150px; height: 40px; margin: auto;">(24)</div>			
	Street/სოფელი							
	Postcode/ საფოსტო ინდექსი City/ქალაქი							
	Country/ქვეყანა		Insured value - warts/სადაზღვევო ომბა სიტყვიერად figures/ციფრებით (16)					
(2)	Name/სახელი Business/ორგ. დასახელება		Importer's reference (if any) (tax code/VAT No./importer code) (optional)/იმპორტორის რეკვიზიტები (საბაჟო ინფორმაცია) (სადაზღვევო კოდი/იმპ. კოდი) (17)					
	Street/სოფელი							
	Postcode/ საფოსტო ინდექსი City/ქალაქი							
	Country/ქვეყანა		Importer's telephone/fax-e-mail (if known)/იმპორტორის ტელ./ფაქსი/ელ.ფოსტა (თუ ცნობილია) (18)					
GUSTOMS DECLARATION / საბაჟო დეკლარაცია	Detailed description of contents / შეიღების დეტალური აღწერილობა (4)		Quantity რაოდენობა (5)	Net Weight (in kg) სუფთა წონა (კგ) (6)	Value ღირებულება (7)	For commercial items only/ხოლოდ კომერციული ნაწილებისთვის (8) HS tariff number / ტარ. ტარ. კოდი	Country of origin of goods/საქონლის წარმოების ქვეყანა	
				Total Gross weight საერთო ჩიდიანი წონა (9)	Total value/საერთო ღირებულება (10)	Postal charges/Fees/ფოსტის გადასახადების ღირებულება (19)		
	Category of item საწილის კატეგორია <input type="checkbox"/> Commercial sample / კომერციული ნიმუში <input type="checkbox"/> Gift /საჩუქარი <input type="checkbox"/> Documents/დოკუმენტები/ <input type="checkbox"/> Returned goods /დამრუტებული საქონელი <input type="checkbox"/> Sale of goods/გაყიდვი საქონელი <input type="checkbox"/> Other/სხვა Explanation/განმარტება (11)				Office of origin/Date of posting გამგზავნი დასახელება/ გაყვანის თარიღი (20)		Insured value SDR/სადაზღვევო ომბა SDR-ში (21) Charges/გადასახადი (22)	
	Comments: (e.g., goods subject to quarantine, sanitary/phytosanitary inspection or other restrictions) კომენტარი: (მაგ.: კვანძის დეკლარაციაზე სპეციალური, სანიტარული ფიტოსანიტარული შემოწმება ან სხვა შეზღუდვები) (12)						I certify that the particulars given in this customs declaration are correct and that this item does not contain any dangerous article or articles prohibited by legislation or by postal or customs regulations / ვადასტურებ, რომ სასაბაჟო დეკლარაციაში მოცემული ინფორმაცია სწორია და ნაწილი არ შეიცავს კანონმდებლობით, აგრეთვე სტრუქტურულ ან სასაბაჟო რეგულაციებით სარწმუნო ნივთებს	
<input type="checkbox"/> Licence /ლიცენზია Licence No./ლიცენზიის № (13)		<input type="checkbox"/> Certificate /სერტიფიკატი Certificate No./სერტიფიკატის № (14)		<input type="checkbox"/> Invoice/ინვოისი Invoice No./ინვოისის № (15)		Date and signature / თარიღი და ხელმოწერა (23)		

CN 23 ფორმის შევსებული ნიმუში

From/საგზავნი		To/ მიმღები		CUSTOMS DECLARATION / საბაგაჟის დამატარებელი	
GEORGIAN POST/საქართველოს ფოსტა Tel: (+995 32)2240909 E-mail: info@gpost.ge		CN 23 May be opened officially/შეიძლება გაიხსნას სასამართლო წესით			
Name/სახელი: Nikoloz Beridze Business/ორგ. დასახელება: LLC Ssure Street/უბანი: Irakli Abashidze N:48 Postcode/საფოსტო ინდექსი: 0179 City/ქალაქი: Tbilisi Country/ქვეყანა: Georgia		Sender's customs reference (if any) / გაგზავნის სასაგაჟო მუხრე (საგაჟო მუხრეებისთვის) Insured value - words/სადაზღვევო თანხ სიტყვითად: სამოცი დოლარი Figures/ციფრებით: 60			
Name/სახელი: Julian Van Dijk Business/ორგ. დასახელება: LLC Clothes Store Street/უბანი: Gustav Mahlerian Postcode/საფოსტო ინდექსი: 1082 City/ქალაქი: Amsterdam Country/ქვეყანა: Netherlands		Importer's reference (if any) (tax code/VAT No./importer code) (optional)/(იმპორტორის რეკვიზიტები (საგაჟო არსებობისას) (საიდენტიფიკაციო კოდი) Importer's telephone/fax/e-mail (if any)/(იმპორტორის ტელ./ფაქს/ელ.ფოსტა (თუ ცნობილია)			
Detailed description of contents / შიგთავსის დეტალური აღწერილობა Women's silk dresses		Quantity რაოდენობა: 2	Net Weight (in kg) სუფთა წონა (კგ): 0.500kg	Value ღირებულება: 60 USD	For commercial items only/მხოლოდ კომერციული გზავნილებისთვის HS tariff number / სს ემ კოდი Country of origin of goods/საქონლის წარმოების ქვეყანა: Turkey
		Total Gross weight / სუფთა წონა: 0.500kg	Total value/საერთო ღირებულება: 60 USD	Postal charges/Fees/გზავნილის გაგზავნის ღირებულება: 35 GEL	
Category of item / კატეგორია <input type="checkbox"/> Commercial sample / კომერციული ნიმუში <input checked="" type="checkbox"/> Gift ჩემთვის <input type="checkbox"/> Documents/დოკუმენტები/ <input type="checkbox"/> Sale of goods/გაყიდვის საქონელი		<input type="checkbox"/> Other/სხვა Explanation/განმარტება:		Office of origin/Date of posting / გაგზავნილი დაწესებულება/ გაგზავნის თარიღი: 0179/01.06.2018	
Comments (e.g. goods subject to quarantine, sanitary/phytosanitary inspection or other restrictions) / კომენტარი (მაგ. კვანძების დაკვირვებას/საქონელი, სანიტარული/ფიტოსანიტარული შემოწმება ან სხვა შეზღუდვები)		Insured value SDR/სადაზღვევო თანხ SDR-ში: 43 SDR		Charges/გადასახადი: 7.50GEL	
<input type="checkbox"/> Licence /ლიცენზია Licence No./ლიცენზიის №:		<input type="checkbox"/> Certificate /სერტიფიკატი Certificate No./სერტიფიკატის №:		<input checked="" type="checkbox"/> Invoice/ინვოიცი Invoice No./ინვოიციის №:	
I certify that the particulars given in this customs declaration are correct and that this item does not contain any dangerous article or articles prohibited by legislation or by postal or customs regulations / ვადასტურებ, რომ სასაგაჟო დეკლარაციაში მოცემული ინფორმაცია სწორია და გზავნილი არ შეიცავს კანონმდებლობით, აეროფრთხილ საფოსტო ან სასაგაჟო რეგულაციებით აკრძალულ ნივთებს.					
Date and signature / თარიღი და ხელმოწერა					

4.3. CN23 ფორმის ველებს შევსება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

(1) მიუთითეთ გამგზავნი ფიზიკური/იურიდიული პირის სრული მონაცემები (ვინაობა, ქვეყანა, ქალაქი/დასახლებული პუნქტი, საფოსტო ინდექსი, მისამართი, ტელ. ნომერი). ინფორმაციის გადამოწმება - რამდენად სავალდებულოა ამა თუ იმ ქვეყანაში გასაგზავნ გზავნილზე ტელეფონის ნომრის მითითება, შესაძლებელია „საქართველოს ფოსტის“ ვებ გვერდზე, დახმარების ველში (<http://www.gpost.ge/?site-lang=ka&site-path=help/requirements/>).

დოკუმენტი მოამზადა ხარისხის მართვის დეპარტამენტმა
 ძალაშია 2018 წლის 1 ივლისიდან (დამტკიცებულია გენერალური დირექტორის 21.06.2018 წლის #15-01/417 ბრძანებით)

- (2) მიუთითეთ ადრესატი ფიზიკური/იურიდიული პირის სრული მონაცემები (ვინაობა, ქვეყანა, ქალაქი/დასახლებული პუნქტი, საფოსტო ინდექსი, მისამართი, ტელ. ნომერი).
- (3) გამგზავნი ქვეყნის საბაჟო დაწესებულება უთითებს გარკვეულ შენიშვნას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- (4) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსის მაქსიმალურად დეტალური აღწერა. მაგ. „ქალის 2 ცალი აბრეშუმის კაბა (დაუშვებელია ზოგადი აღწერა, მაგალითად, როგორცაა „ტანსაცმელი“).

შენიშვნა: თუ ფორმის ველის ზომის სიმცირის გამო, ვერ ხდება ყველა იმ ნივთის აღწერა(ჩამოთვლა), რომელიც გამგზავნს სურს, რომ კონკრეტული გზავნილით გაიგზავნოს, მიზანშეწონილია ერთი გზავნილის ფარგლებში გაიგზავნოს მხოლოდ ის ნივთები, რომელთა ჩამონათვალიც მოცემული იქნება ფორმაში.

გამგზავნმა უნდა გაითვალისწინოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ფორმაზე დატანილი ინფორმაცია გზავნილის შიგთავსის შესახებ არ დაემთხვევა რეალურად მასში მოთავსებულ ნივთებს, იარსებებს გზავნილის მთლიანად, ან მასში მოთავსებული ცალკეული ნივთების ჩამორთმევის და/ან გამგზავნის/ადრესატის დაჯარიმების საფუძველი - როგორც გამგზავნი, ასევე ტრანზიტული და დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურების, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და/ან საფოსტო ადმინისტრაციების მხრიდან.

- (5) მიუთითეთ (4) ველში მითითებული თითოეული ნივთის რაოდენობა;
- (6) მიუთითეთ ნივთ(ებ)ის წონა კგ.-ში. ამასთან, თუ (5) ველში მითითებულია ერთზე მეტი რაოდენობა, ჩაიწერება (4) ველში აღნიშნული ნივთის საერთო წონა. მაგ. „ქალის 2 ცალი აბრეშუმის კაბის საერთო წონა: 0.9კგ.“
- (7) მიუთითეთ თითოეული ნივთის ღირებულება სასურველ ვალუტაში, (5) ველში აღნიშნული რაოდენობის გათვალისწინებით. მაგ: „ქალის 2 ცალი აბრეშუმის კაბის ღირებულება - 60 USD; და ა.შ.“
- (8) მხოლოდ კომერციული დანიშნულების გზავნილების შემთხვევაში მიუთითეთ სეს ესნ (HS) კოდი (6 ციფრი) და ქვეყანა - სადაც დამზადებულია, წარმოებულია ან აწყობილია ნივთი/საქონელი.

გამგზავნმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კომერციული დანიშნულების გზავნილის სეს ესნ (HS) კოდის გარეშე გაგზავნის შემთხვევაში, მისი გზავნილი შესაძლოა დაექვემდებაროს როგორც გამგზავნი, ასევე ტრანზიტული და/ან დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურების მიერ შეჩერებას, რაც ვერ ჩაითვლება „საქართველოს ფოსტის“ ბრალეულობად.

- (9) მიუთითეთ საერთო წონა, რომელიც გულისხმობს გზავნილის მთლიან წონას, მისი შეფუთვის ჩათვლით.
- (10) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსის საერთო ღირებულება და შესაბამისი ვალუტა;

- (11) აირჩიეთ გზავნილის კატეგორია: „საჩუქარი“, „დოკუმენტი“, „გასაყიდი საქონელი“, „კომერციული ნიმუში“, „დაბრუნებული საქონელი“, ან „სხვა (დააკონკრეტეთ)“. აღნიშნული კატეგორიებიდან შესაძლებელია მხოლოდ ერთის მონიშვნა იმისდა მიხედვით თუ რა დანიშნულებით იგზავნება გზავნილი . თუ გზავნილი კომერციული დანიშნულებით იგზავნება (მაგ ხორციელდება გზავნილში მოთავსებული ნივთის გაყიდვა) დაუშვებელია მონიშნოთ კატეგორია „კომერციული ნიმუში“.
- (12) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსთან დაკავშირებული კომენტარი, მაგ. წარმოადგენს თუ არა გზავნილის შიგთავსი კარანტინის ან სანიტარული/ფიტოსანიტარული შემოწმებას დაქვემდებარებულ საქონელს, ან ხომ არ ვრცელდება მასზე რაიმე შეზღუდვები.
- (13) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს გარკვეული სახის ლიცენზია. ასეთის არსებობის შემთხვევაში ასევე მიუთითეთ ლიცენზიის ნომერი.
- (14) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს გარკვეული სახის სერტიფიკატი. ასეთის არსებობის შემთხვევაში ასევე მიუთითეთ სერტიფიკატის ნომერი.
- (15) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს ინვოისი. ასეთის არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ ინვოისის ნომერი.
- (16) გზავნილის დაზღვევის შემთხვევაში, მიუთითეთ მისი შიგთავსის სადაზღვევო თანხა ლარში (თანხა, რამდენადაც გამგზავნი აფასებთ გზავნილის შიგთავსს) სიტყვიერად და ციფრებში;
- (17) მიუთითეთ იმპორტიორის საიდენტიფიკაციო/საგადასახადო კოდი, ასეთის არსებობის შემთხვევაში - აღნიშნული ველის შევსება არ არის სავალდებულო.
- (18) მიუთითეთ იმპორტიორის ფაქსი/ელ.ფოსტა (თუ ცნობილია);
- (19) მიუთითეთ მხოლოდ გზავნილის გაგზავნის ღირებულება („საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად) ლარში;
- (20) მიუთითეთ გამგზავნი სერვისის ცენტრის ნომერი და გაგზავნის თარიღი;
- (21) მიუთითეთ გზავნილის სადაზღვევო თანხა SDR-ში;
- (22) მიუთითეთ სადაზღვევო პრემიის საფასური ლარში (თანხა რომელსაც იხდის გამგზავნი, გზავნილის დაზღვევისთვის);
- (23) გამგზავნი ხელმოწერით აფიქსირებს ფორმაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეს და მიუთითებს ხელმოწერის თარიღს.
- (24) მოცემულ ადგილას დაიტანება გზავნილის საიდენტიფიკაციო ნომერი.

5. CP 72 ფორმა

5.1. CP 72 ფორმა სტამბურად დაბეჭდილია კოპირებად ქალაქში, 4 ეგზემპლარად. შევსებული ფორმის პირველი ეგზემპლარის ქსეროასლი რჩება „საქართველოს ფოსტაში“, ფორმის მეოთხე პირი (ყვითელი) უნდა გადაეცეს გამგზავნს, ხოლო დანარჩენი სამი პირი (თეთრი, ცისფერი და ვარდისფერი) უნდა დაერთოს გზავნილს, რომელთაგან ერთ პირს დაიტოვებს მიმღები ქვეყნის საბაჟო სამსახური, მეორეს - მიმღები საფოსტო ოპერატორი, ხოლო მესამე - გადაეცემა ადრესატს.

5.2. CP 72 ფორმას აქვს შემდეგი სახე:

GEORGIANPOST / საქართველოს ფოსტა GEORGIA Tel: (+995 32) 214 09 09 Email: info@gepost.ge		CP 72 May be opened officially by the addressee's customs authority only				
From/გამგზავნი	Name/სახელი (1)	Sender's contact reference (if any) / განვსჯის სახელს შემტანი (ავტოსტამბა) (2)				
	Business/დამსახურება					
	Street/უბანი Tel.No/ტელ.	Insured value - words / სავაჭროდ თანა სიტყვითად (17)				
To/გაბი	Postcode/საფოსტო ინდექსი City/ქალაქი	Gross amount / მთლიანი ღირებულება (18)				
	Country/ქვეყანა	Gross amount No. and Gross amount (Gross amount) * (19)				
	Name/სახელი	Importer's address reference (if any) (tax code/VAT No./exporter code) (optional) (20)				
Business/დამსახურება	Street/უბანი Tel.No/ტელ.	Importer's address fax-no./მომწოდებლის ფაქსის კოდი (თუ ცნობილია) (21)				
	Postcode/საფოსტო ინდექსი City/ქალაქი					
	Country/ქვეყანა					
CUSTOMER DECLARATION / მისამართის დაცხადი	Detailed description of contents / შიგთავსის დეტალური აღწერილობა (4)	Quantity / რაოდენობა (5)	Net Weight (in kg) / სუფთა წონა (კგ) (6)	Value / ღირებულება (7)	For commercial items only: HS tariff number / Country of origin of goods (საფოსტო ნაწილის ქვეყანა) (8)	
Please indicate service required (tick one box) / გთხოვთ მინიშნოთ სსსტრუქტურის სტრუქტურა (9)		Total Gross Weight / სუფთა მთლიანი წონა (10)	Total value/საერთო ღირებულება (11)	Postal charges/Fees/გაზაფხულის ღირებულება/გადასახადი (22)		
<input type="checkbox"/> International Priority საქართველოს პრეორიტეტული <input type="checkbox"/> International Economy საქართველოს ეკონომიკური				Office of origin/Date of posting/გაზაფხულის ოფისი/გაზაფხულის თარიღი (23)	Number of parcels / სუფთა მთლიანი რაოდენობა (24)	
Category of item / ნაწილის კატეგორია <input type="checkbox"/> Commercial sample / კომერციული ნიმუში <input type="checkbox"/> Gift / საჩუქარი <input type="checkbox"/> Document/დოკუმენტი <input type="checkbox"/> Return of goods / ნაწილის დაბრუნება <input type="checkbox"/> Sale of goods/საყიდვი ნაწილი		Total value/საერთო ღირებულება (12) Explanation/განმარტება (13)		Number of certificates and invoices / სერტიფიკატების რაოდენობა (25) Insured value IIR/სავაჭროდ თანა IIR-ში (26)		
Comments: (e.g. goods subject to quarantine, sanitary/phytosanitary inspection or other restrictions) / კომენტარები: (მაგ., კარანტინის დაცვით დაკავშირებული საბაჟო, სანიტარული/ფიტოსანიტარული შემოწმება ან სხვა შეზღუდვები) (14)		Total Gross Weight of the parcel/მთლიანი სუფთა წონა (27)		Charges/გადასახადი (28)		
<input type="checkbox"/> License/ლიცენზია (14) License No./ლიცენზიის №		<input type="checkbox"/> Certificate/სერტიფიკატი (13) Certificate No./სერტიფიკატის №		<input type="checkbox"/> Invoice/ბილიტი (14) Invoice No./ბილიტის №		
I certify that the particulars given in this customs declaration are correct and that this item does not contain any dangerous article or articles prohibited by legislation or by postal or customs regulations / ვადასტურებ, რომ სასაგო დეკლარაციაში მოცემული ინფორმაცია სწორია და ეს ნაწილი არ შეიცავს აკრძალული ნივთების, აგრეთვე საფოსტო ან სასაგო რეგულაციებით აკრძალულ ნივთებს		Date and signature / თარიღი და ხელმოწერა (34)		Sender's instructions in case of non delivery/გაზაფხულის მიტოვების შემთხვევაში: <input type="checkbox"/> Return to sender after/დაბრუნდება გაზაფხულის დასრულების შემდეგ <input type="checkbox"/> Return immediately to sender/უბრუნდება გაზაფხულის დასრულების შემდეგ <input type="checkbox"/> Redirect to address below/გადადინდება ქვემოთ მოცემულ მისამართზე Address/მისამართი (29) <input type="checkbox"/> Treat as abandoned/გადადინდება როგორც უპასუხო ნაწილი <input type="checkbox"/> Returned/დაბრუნდება/გადადინდება/გადადინდება <input type="checkbox"/> by surface/ს.ა.ს.ს/საფოსტით გზავნილი <input type="checkbox"/> by air/საჟირით გზავნილი		

CP 72 ფორმის შევსებული ნიმუში

From/საგზაო		To/საბ		CUSTOMS DECLARATION / საბაჟო დაცლარეგისტრაცია	
GEORGIAN POST / საქართველოს ფოსტა GEORGIA Tel: (+995 32)2409 09 Email: info@gepost.ge		CP 72 <small>Use in opened official/შეღებულ კარგში სასაბაჟო ფორმ</small>			
Name/სახელი: Nikoloz Bezida Business/ბიზნესი: LLC Store		Sender's address reference (if any) / გადამსვლის საზღვარსაღარო (სადაც არის): Street/სტრეტა: Irakli Abashidze N:48 Tel.No/ტელ: 552 85-82-48		Insured value - words / სავაჭრო ომის სიტყვით: 150 Figures / ციფრებით: 150	
Postcode/საფოსტო ინდექსი: 0179 City/ქალაქი: Tbilisi		Name/სახელი: Julian Van Dijk Business/ბიზნესი: LLC Clothes Store		Cash-on-delivery amount - words / ფასადამფარავი გაცემის ღირებულება სიტყვით: 150 Figures / ციფრებით: 150	
Street/სტრეტა: Georgie		Street/სტრეტა: Gastor Malsbeek Tel.No/ტელ: +31 (0)20 2588 100		Importer's address reference (if any) (tax code/VAT No./importer code) (optional) / იმპორტიორის/დამკვეთის რეკვიზიტები (სადაც არის/არის) (სავაჭრო კოდი) (სავაჭრო კოდი):	
Postcode/საფოსტო ინდექსი: 1083 City/ქალაქი: AMSTERDAM		Street/სტრეტა: Gastor Malsbeek Tel.No/ტელ: +31 (0)20 2588 100		Importer's address reference (if any) (tax code/VAT No./importer code) (optional) / იმპორტიორის/დამკვეთის რეკვიზიტები (სადაც არის/არის) (სავაჭრო კოდი) (სავაჭრო კოდი):	
Country/ქვეყანა: Georgia		Country/ქვეყანა: NETHERLAND		Importer's address reference (if any) (tax code/VAT No./importer code) (optional) / იმპორტიორის/დამკვეთის რეკვიზიტები (სადაც არის/არის) (სავაჭრო კოდი) (სავაჭრო კოდი):	
Detailed description of contents / შიგთავსის დეტალური აღწერა:		Quantity / რაოდენობა:	Net Weight (in kg) / სუფთა წონა (კგ):	Value / ღირებულება:	For commercial items only / მხოლოდ კომერციული უზენაესობისთვის: HS tariff number / სტ. ნომ. კოდი:
3 (three) Men's woolen trousers		3	1.0kg	100 GEL	950640
1 (one) woman silk dress		1	0.200kg	50 GEL	610341
Please indicate service required (tick one box) / გთხოვთ მიხედოთ სასურველი სერვისი		Total Gross Weight / სუფთა წონა წონა: 1.200kg	Total value/საერთო ღირებულება: 150 GEL	Postal charges/ფოსტაგადასახადი ღირებულება/გადასახადი: 16.00 USD	
<input checked="" type="checkbox"/> International Priority / საერთაშორისო პრიორიტეტული		<input type="checkbox"/> International Economy / საერთაშორისო ეკონომიური		Office of origin/Date of posting/გაგზავნის ოფისი/გაგზავნის თარიღი: 017901.06.2018	
<input type="checkbox"/> Commercial sample / კომერციული ნიმუში		<input type="checkbox"/> Other /სხვა: Replicas/რეპლიკები		Number of parcels / პარსლების რაოდენობა:	
<input type="checkbox"/> Gift /საჩუქრის		<input type="checkbox"/> Return of goods / დაბრუნებული საქონელი		Number of containers and services / სერვისების რაოდენობა:	
<input type="checkbox"/> Documents/დოკუმენტები		<input checked="" type="checkbox"/> Sale of goods/საგადასახადი საქონელი		Insured value SDR/სავაჭრო ომის SDR-ში: 141 SDR	
Comments (e.g. goods subject to quarantine, sanitary/phytosanitary inspection or other restrictions) / კომენტარები (მაგ., კარანტინის დაკავშირებული საქონელი, სანიტარული/ფიტოსანიტარული შემოწმება ან სხვა შეზღუდვები):		Total Gross Weight of the parcel/საერთო წონა: 1.200kg		Charges/გადასახადი: 7.200EUR	
<input type="checkbox"/> License/ლიცენზია License No./ლიცენზიის №:		<input type="checkbox"/> Certificate/სერტიფიკატი Certificate No./სერტიფიკატის №:		<input checked="" type="checkbox"/> Invoice/ბილი Invoice No./ბილის №:	
I certify that the particulars given in this customs declaration are correct and that this item does not contain any dangerous article or article prohibited by legislation or by penal or customs regulations. / ვცხადებ, რომ საბაჟო დაცლარეგისტრაციაში მოცემული ინფორმაცია სწორია და გუბნული არ შეიცავს კანონდებულობით, აკრძალულ საფოსტო ან საბაჟო რეგულაციებით აკრძალულ ნივთს.		Date and signature / თარიღი და ხელმოწერა:		Sender's instructions in case of non delivery/გაგზავნის მიზნარტობის შემთხვევაში: <input type="checkbox"/> Return to sender/დაბრუნდება გადამსვლს - დასაფოსტო <input type="checkbox"/> Return immediately to sender/დაბრუნდება გადამსვლს დაუყოფნით <input type="checkbox"/> Redirect to address below/გადასახადი/გადასახადი ქვემოთ მოცემულ მისამართზე Address/მისამართი: _____ <input type="checkbox"/> Treat as abandoned/გაგზავნის მიზნარტობის შემთხვევაში Return as/დაბრუნდება/გადასახადი/გადასახადი: <input type="checkbox"/> by surface/საზღვრით გზით <input type="checkbox"/> by air/საჰაერო გზით	

5.3. CP 72 ფორმის ველების შევსება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

- (1) მიუთითეთ გამგზავნი ფიზიკური/იურიდიული პირის სრული მონაცემები (ვინაობა, ქვეყანა, ქალაქი/დასახლებული პუნქტი, საფოსტო ინდექსი, მისამართი, ტელ. ნომერი).
- (2) მიუთითეთ ადრესატი ფიზიკური/იურიდიული პირის სრული მონაცემები (ვინაობა, ქვეყანა, ქალაქი/დასახლებული პუნქტი, საფოსტო ინდექსი, მისამართი, ტელ. ნომერი).
- (3) გამგზავნი ქვეყნის საბაჟო დაწესებულება უთითებს გარკვეულ შენიშვნას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

(4) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსის მაქსიმალურად დეტალური აღწერა (მაგ. მამაკაცის 3 ცალი შალის შარვალი; ქალის 1 ცალი აბრეშუმის კაბა). (დაუშვებელია ზოგადი აღწერა, მაგალითად, როგორცაა „ტანსაცმელი“).

შენიშვნა: თუ ფორმის ველის ზომის სიმცირის გამო, ვერ ხდება ყველა იმ ნივთის აღწერა(ჩამოთვლა), რომელიც გამგზავნს სურს, რომ კონკრეტული გზავნილით გაიგზავნოს, მიზანშეწონილია ერთი გზავნილის ფარგლებში გაიგზავნოს მხოლოდ ის ნივთები, რომელთა ჩამონათვალიც მოცემული იქნება ფორმაში.

გამგზავნმა უნდა გაითვალისწინოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ფორმაზე დატანილი ინფორმაცია გზავნილის შიგთავსის შესახებ არ დაემთხვევა რეალურად მასში მოთავსებულ ნივთებს, იარსებებს გზავნილის მთლიანად, ან მასში მოთავსებული ცალკეული ნივთების ჩამორთმევის და/ან გამგზავნის/ადრესატის დაჯარიმების საფუძველი - როგორც გამგზავნი, ასევე ტრანზიტული და დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურების, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და/ან საფოსტო ადმინისტრაციების მხრიდან.

- (5) მიუთითეთ (4) ველში მითითებული თითოეული ნივთის რაოდენობა;
- (6) მიუთითეთ ნივთ(ებ)ის წონა კგ.-ში. ამასთან, თუ (5) ველში მითითებულია ერთზე მეტი რაოდენობა, ჩაიწერება (4) ველში აღნიშნული ნივთის საერთო წონა. მაგ. „მამაკაცის 3 ცალი შალის შარვლის საერთო წონა: 1.200 კგ. ქალის 1 ცალი აბრეშუმის კაბის წონა: 0.500კგ.
- (7) მიუთითეთ თითოეული ნივთის ღირებულება შესაბამის ვალუტაში, (5) ველში აღნიშნული რაოდენობის გათვალისწინებით. მაგ: „მამაკაცის 3 ცალი შალის შარვლის საერთო ღირებულება 100 GEL; ქალის 1 ცალი აბრეშუმის კაბის ღირებულება 50 GEL და ა.შ.
- (8) მხოლოდ კომერციული გზავნილების შემთხვევაში მიუთითეთ სეს ესნ (HS) კოდი (6 ციფრი) და ქვეყანა - სადაც დამზადებულია, წარმოებულია ან აწყობილია ნივთი/საქონელი.

გამგზავნმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კომერციული დანიშნულების გზავნილის სეს ესნ (HS) კოდის გარეშე გაგზავნის შემთხვევაში, მისი გზავნილი შესაძლოა დაექვემდებაროს როგორც გამგზავნი, ასევე ტრანზიტული და/ან დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურების მიერ შეჩერებას, რაც ვერ ჩაითვლება „საქართველოს ფოსტის“ ბრალეულობად.

- (9) მონიშნეთ ველი „საერთაშორისო პრიორიტეტული“, ვინაიდან „საქართველოს ფოსტა“ ამ ეტაპზე არ ახორციელებს „საერთაშორისო ეკონომიური“ სერვისით გზავნილების გაგზავნას;
- (10) მიუთითეთ საერთო წონა, რომელიც გულისხმობს გზავნილის მთლიან წონას, მისი შეფუთვის ჩათვლით.
- (11) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსის საერთო ღირებულება და შესაბამისი ვალუტა.
- (12) აირჩიეთ გზავნილის კატეგორია: „საჩუქარი“, „დოკუმენტი“, „გასაყიდი საქონელი“, „კომერციული ნიმუში“, „დაბრუნებული საქონელი“, ან „სხვა (დააკონკრეტეთ)“. კომერციული დანიშნულების გზავნილის შემთხვევაში, დაუშვებელია მონიშნოთ „კომერციული ნიმუში“.

აღნიშნული კატეგორიებიდან შესაძლებელია მხოლოდ ერთის მონიშვნა იმისდა მიხედვით თუ რა დანიშნულებით იგზავნება გზავნილი . თუ გზავნილი კომერციული დანიშნულებით იგზავნება (მაგ ხორციელდება გზავნილში მოთავსებული ნივთის გაყიდვა) დაუშვებელია მონიშნოთ კატეგორია „კომერციული ნიმუში“.

- (13) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსთან დაკავშირებული კომენტარი, მაგ. წარმოადგენს თუ არა გზავნილის შიგთავსი კარანტინის ან სანიტარული/ფიტოსანიტარული შემოწმებას დაქვემდებარებულ საქონელს, ან ხომ არ ვრცელდება მასზე რაიმე შეზღუდვები.
- (14) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს გარკვეული სახის ლიცენზია. ასეთის არსებობის შემთხვევაში ასევე მიუთითეთ ლიცენზიის ნომერი.
- (15) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს გარკვეული სახის სერტიფიკატი. ასეთის არსებობის შემთხვევაში ასევე მიუთითეთ სერტიფიკატის ნომერი.
- (16) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს ინვოისი. ასეთის არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ ინვოისის ნომერი.
- (17) გზავნილის დაზღვევის შემთხვევაში, მიუთითეთ მისი შიგთავსის სადაზღვევო თანხა ლარში (თანხა, რამდენადაც გამგზავნი აფასებს გზავნილის შიგთავსს) სიტყვიერად და ციფრებში;
- (18) გზავნილის ფასდადებით გაგზავნის შემთხვევაში (როდესაც გზავნილის გაგზავნის საფასურს იხდის ადრესატი), მიუთითეთ გზავნილის გაგზავნის საფასური ფასდადებით სიტყვიერად და ციფრებში (ამჟამად აღნიშნული სერვისი არ ხორციელდება „საქართველოს ფოსტის“ მიერ).
- (19) მიუთითეთ Giro ანგარიშის ნომერი და Giro ცენტრი (Giro (General Interbank Recurring Order) - უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი საშუალება, რომლის მეშვეობითაც საფოსტო ოპერატორები ახდენენ ანგარიშსწორებას). (ამჟამად აღნიშნული სერვისი არ ხორციელდება „საქართველოს ფოსტის“ მიერ და შესაბამისად გრაფაც არ ივსება).
- (20) მიუთითეთ იმპორტიორის საიდენტიფიკაციო კოდი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული ველის შევსება არ არის სავალდებულო.
- (21) მიუთითეთ იმპორტიორის ფაქსი/ელ.ფოსტა (თუ ცნობილია);
- (22) მიუთითეთ მხოლოდ გზავნილის გაგზავნის ღირებულება („საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად) ლარში;
- (23) მიუთითეთ გამგზავნი სერვისცენტრის ნომერი და გაგზავნის თარიღი;
- (24) მიუთითეთ ამანათების რაოდენობა (აღნიშნული ველი ამ ეტაპზე არ ივსება);
- (25) მიუთითეთ თანდართული სერთიფიკატების ან/და ინვოისების რაოდენობა;
- (26) გზავნილის დაზღვევის შემთხვევაში, მიუთითეთ გზავნილის სადაზღვევო თანხა SDR-ში;
- (27) მიუთითეთ გზავნილის საერთო წონა;
- (28) მიუთითეთ სადაზღვევო პრემიის საფასური ლარში (თანხა რომელსაც იხდის გამგზავნი, გზავნილის დაზღვევისთვის);
- (29) გამგზავნს საშუალება აქვს, გზავნილის გაგზავნისას წინასწარ განსაზღვროს თუ რომელი ქმედების განხორციელება სურს იმ შემთხვევაში, თუ მისი გზავნილი ვერ ჩაბარდება ადრესატს. ამისათვის გზავნილის გაგზავნისას ჩამოთვლილ მნიშვნელობათაგან მონიშნეთ


ერთ-ერთი ქმედება; გასათვალისწინებელია, რომ გადამისამართების მონიშვნის შემთხვევაში, გამგზავნმა სრულად უნდა მიუთითოს ახალი მისამართი და/ან ადრესატი, მხოლოდ იმავე ქვეყნის ფარგლებში.

- (30) გამგზავნი ხელმოწერით აფიქსირებს ფორმაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეს და მიუთითებს ხელმოწერის თარიღს.
- (31) მოცემულ ადგილას დაიტანება გზავნილის საიდენტიფიკაციო ნომერი.


6. CN 23 EMS ფორმა

6.1. CN 23 EMS ფორმა სტამბურად დაბეჭდილია კოპირებად ქაღალდზე, 4 ეგზემპლარად. შევსებული ფორმის პირველი ეგზემპლარის ქსეროასლი რჩება „საქართველოს ფოსტაში“, ფორმის მეოთხე პირი (ყვითელი) უნდა გადაეცეს გამგზავნს, ხოლო დანარჩენი სამი პირი (თეთრი, ცისფერი და ვარდისფერი) უნდა დაერთოს გზავნილს, რომელთაგან ერთ პირს დაიტოვებს მიმღები ქვეყნის საბაჟო სამსახური, მეორეს - მიმღები საფოსტო ოპერატორი, ხოლო მესამე - გადაეცემა ადრესატს.

6.2. CN 23 EMS ფორმას აქვს შემდეგი სახე:

 GEORGIAN POST / საქართველოს ფოსტა Tel: (+995 32)224 09 09 E-mail: info@ppo.ge		CN 23 EMS <small>May be opened officially/შეიძლება გაიხსნას სასამართლო წესით</small>				
<input type="text" value="(26)"/>		Importer's reference (if any) (tax code/VAT No./importer code) (optional)/იმპორტიორის რეკვიზიტები (სადაც არაა მოთხოვნილი) (საიდენტიფიკაციო/იზმ. კოდი) (16)				
		Importer's telephone/fax/e-mail (if known)/ იმპორტიორის ტელ./ფაქსი/ელ.ფოსტა (თუ ცნობილია)(17)				
From / გამომცემი	(1) Name/ვინაობა	Sender's address reference (if any)/გაგზავნის სახლის მუნიშვნა (სადაც არაა მოთხოვნილი) (3)	(2) Name/ვინაობა			
	Street/უბანი		Street/უბანი			
	Postcode/ინდექსი City/ქალაქი		Postcode/ინდექსი City/ქალაქი			
	Country/ქვეყანა		Country/ქვეყანა			
	Tel./ტელ. E-mail/ელ.ფოსტა		Tel./ტელ. E-mail/ელ.ფოსტა			
CUSTOMS DECLARATION / ხაზავი დეკლარაცია	Detailed description of contents/ შიგთავსის დეტალური აღწერილობა (4)	Quantity/ რაოდენობა (5)	Net weight (in kg) / სუფთა წონა (კგ) (6)	Value/ ღირებულება (7)	For commercial items only/ მხოლოდ კომერციული მატერიალისთვის (8)	
					HS tariff number/ სეს ენს კოდი	
					Country of origin of goods/ საქონლის წარმოშობის ქვეყანა	
			Total gross weight/ საერთო მთლიანი წონა (9)	Total value/ საერთო ღირებულება (10)		
	Category of item/ საქონლის კატეგორია <input type="checkbox"/> Gifts/ საჩუქარი <input type="checkbox"/> Documents/ დოკუმენტები <input type="checkbox"/> Commercial sample/ კომერციული ნიმუში <input type="checkbox"/> Returned goods/ დაბრუნებული საქონელი <input type="checkbox"/> Other/ სხვა					Acceptance information/ აცხადებელი ოფისი Item weight (kg)/ წონა (კგ) (18)
	Explanation/ განმარტება (11)					Postal charges/Fees/ გაგზავნის დირებულება (19)
	Comments (e.g. goods subject to quarantine, sanitary/phytosanitary inspection or other restrictions) კომენტარი (მაგ. კარანტინის დაქვემდებარებული საქონელი, სანიტარული/ფიტოსანიტარული შემოწმება ან სხვა შეზღუდვები) (12)					Insurance/ სადაზღვევო პრემია (20)
	<input type="checkbox"/> License/ლიცენზია (13) License No./ლიცენზიის №					Total/სულ (21)
	<input type="checkbox"/> Certificate/სერტიფიკატი (14) Certificate No./სერტიფიკატის №					Office/ოფისის № (22)
<input type="checkbox"/> Invoice/ინვოისი (15) Invoice No./ინვოისის №					Date/თარიღი (23) Time/დრო (24)	
I certify that the particulars given in this customs declaration are correct and that this item does not contain any dangerous article or articles prohibited by legislation or by postal or customs regulations. / ვაცხადებ, რომ სახით დეკლარაციაში მოცემული ინფორმაცია სწორია და ეწინააღმდეგება კანონმდებლობით, აგრეთვე საფოსტო ან სახაზავი რეგულაციებით აკრძალულ ნივთებს.					Delivery information/ აცხადებელი ჩამარებისას (27)	
Date and signature/თარიღი და ხელმოწერა (25)					Date/თარიღი Time/დრო Person name/ მიმღებლის სახელი და გვარი Signature/ ხელმოწერა	

CN 23 EMS ფორმის შევსებული ნიმუში

 GEORGIAN POST საქართველოს ფოსტა Tel: (+995 32)224 09 09 E-mail: info@ppo.ge		CN 23 EMS May be opened officially შიშობა ვაისხის სასამხრო წესით	
Importer's reference (if any) (tax code/VAT No./importer code) (optional) იმპორტიორის რეკვიზიტები (საქვის პრემიისას) (საიდენტიფიკაციო კოდი/ი.ბ. კოდი)		Importer's telephone/fax/e-mail (if known) იმპორტიორის ტელ./ფაქსი/ელ.ფოსტა (თუ ცნობილია)	
From/გზავნი Name/ვინაობა LLC Toy Store Street/უბანი Irakli Abashidze N:48 Postcode/ინდექსი 0179 City/ქალაქი Tbilisi Country/ქვეყანა Georgia Tel./ტელ. 568 -75-89-01 E-mail/ელ.ფოსტა Store@gmail.com		To/კავი Name/ვინაობა Julian Van Dijk Street/უბანი Gustav Mahlerlaan 1025 Postcode/ინდექსი 1082 City/ქალაქი Amsterdam Country/ქვეყანა Netherlands Tel./ტელ. +31 (0)20 2588 100 E-mail/ელ.ფოსტა Julian@gmail.eu	
DETAILED DESCRIPTION OF CONTENTS / შიგთავსის დეტალური აღწერილობა		For commercial items only - შიშობა კომერციული ტვირთისთვის HS tariff number/სტ.ჯან. კოდი 950420 Country of origin of goods/საქონლის წარმოების ქვეყანა USA	
Detailed description of contents/შიგთავსის დეტალური აღწერილობა: Billiard accessories		Quantity/რაოდენობა: 5 Net weight (in kg) /სუფთა წონა (კგ): 9.0kg Value/ღირებულება: 500USD	
Category of item/გზავნილის კატეგორია: <input type="checkbox"/> Gift/საჩუქარი <input type="checkbox"/> Documents/დოკუმენტი <input type="checkbox"/> Commercial sample/კომერციული ნიმუში <input type="checkbox"/> Returned goods/დაბრუნებული საქონელი <input checked="" type="checkbox"/> Other/სხვა (გასაუბრობი საქონელი)		Explanation/განმარტება: Comments (e.g. goods subject to quarantine, sanitary/სუბსანიტარული, inspection or other restrictions) კომენტარი (შეგანაგებების დაკავშირებული საქონელი, სანიტარული/დესანიტარული შემოწმება ან სხვა შეზღუდვები)	
License/ლიცენზია License No./ლიცენზიის №		Certificate/სერტიფიკატი Certificate No./სერტიფიკატის №	
I certify that the particulars given in this customs declaration are correct and that this item does not contain any dangerous article or articles prohibited by legislation or by postal or customs regulations. / ვადასტურებ, რომ საბუთი დეკლარაციაში მოცემული ინფორმაცია სწორია და გზავნილი არ შეიცავს საშიშრობის, აფრთხილებული ან სასაზღვრო რეგულაციებით აკრძალულ ნივთს.		Total/სულ 318 ლარი Office/ოფისი № 0179 Date/თარიღი 01.06.2018 Time/დრო 15:45 Delivery information/გზავნის ადრესატი ჩამარუხებას Person name/მიმღების სახელი და გვარი Signature/ხელმოწერა	
Date and signature/თარიღი და ხელმოწერა		Date/თარიღი Time/დრო	

6.3. CN 23 EMS ფორმის ველების შევსება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

- (1) მიუთითეთ გამგზავნი ფიზიკური/იურიდიული პირის სრული მონაცემები (ვინაობა, ქვეყანა, ქალაქი/დასახლებული პუნქტი, საფოსტო ინდექსი, მისამართი, ტელ. ნომერი).
- (2) მიუთითეთ ადრესატი ფიზიკური/იურიდიული პირის სრული მონაცემები (ვინაობა, ქვეყანა, ქალაქი/დასახლებული პუნქტი, საფოსტო ინდექსი, მისამართი, ტელ. ნომერი).
- (3) გამგზავნი ქვეყნის საბაჟო დაწესებულება უთითებს გარკვეულ შენიშვნას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- (4) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსის მაქსიმალურად დეტალური აღწერა. მაგ. ბილიარდის აქსესიარები.

დოკუმენტი მოამზადა ხარისხის მართვის დეპარტამენტმა
 ძალაშია 2018 წლის 1 ივლისიდან (დამტკიცებულია გენერალური დირექტორის 21.06.2018 წლის #15-01/417 ბრძანებით)

შენიშვნა: თუ ფორმის ველის ზომის სიმცირის გამო, ვერ ხდება ყველა იმ ნივთის აღწერა(ჩამოთვლა), რომელიც გამგზავნის სურს, რომ კონკრეტული გზავნილით გაიგზავნოს, მიზანშეწონილია ერთი გზავნილის ფარგლებში გაიგზავნოს მხოლოდ ის ნივთები, რომელთა ჩამონათვალიც მოცემული იქნება ფორმაში.

გამგზავნა უნდა გაითვალისწინოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ფორმაზე დატანილი ინფორმაცია გზავნილის შიგთავსის შესახებ არ დაემთხვევა რეალურად მასში მოთავსებულ ნივთებს, იარსებებს გზავნილის მთლიანად, ან მასში მოთავსებული ცალკეული ნივთების ჩამორთმევის და/ან გამგზავნის/ადრესატის დაჯარიმების საფუძველი - როგორც გამგზავნი, ასევე ტრანზიტული და დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურების, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და/ან საფოსტო ადმინისტრაციების მხრიდან.

- (5) მიუთითეთ ნივთების რაოდენობა;
- (6) თითოეული ნივთის წონა კგ.-ში. ამასთან, თუ (5) ველში მითითებულია ერთზე მეტი რაოდენობა, ჩაიწერება (4) ველში აღნიშნული ნივთის საერთო წონა. მაგ. „ბილიარდის 5 ცალი აქსესუარის“ საერთო წონა 9კგ.
- (7) მიუთითეთ თითოეული ნივთის ღირებულება შესაბამის ვალუტაში, (5) ველში აღნიშნული ტაოდენობის გათვალისწინებით. მაგ: „ბილიარდის 5 ცალი აქსესუარის“ ღირებულება 500 USD.
- (8) მხოლოდ კომერციული დანიშნულების გზავნილების შემთხვევაში მიუთითეთ სეს ესნ (HS) კოდი (6 ციფრი) და ქვეყანა - სადაც დამზადებულია, წარმოებულია ან აწყობილია ნივთი/საქონელი.

გამგზავნა უნდა გაითვალისწინოს, რომ კომერციული დანიშნულების გზავნილის სეს ესნ (HS) კოდის გარეშე გაგზავნის შემთხვევაში, მისი გზავნილი შესაძლოა დაექვემდებაროს როგორც გამგზავნი, ასევე ტრანზიტული და/ან დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სამსახურების მიერ შეჩერებას, რაც ვერ ჩაითვლება „საქართველოს ფოსტის“ ბრალეულობად.

- (9) მიუთითეთ საერთო წონა, რომელიც გულისხმობს გზავნილის მთლიან წონას, მისი შეფუთვის ჩათვლით.
- (10) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსის საერთო ღირებულება და შესაბამისი ვალუტა;
- (11) აირჩიეთ გზავნილის კატეგორია: „საჩუქარი“, „დოკუმენტი“, „გასაყიდი საქონელი“, „კომერციული ნიმუში“, „დაბრუნებული საქონელი“, ან „სხვა (დააკონკრეტეთ)“. აღნიშნული კატეგორიებიდან შესაძლებელია მხოლოდ ერთის მონიშვნა იმისდა მიხედვით თუ რა დანიშნულებით იგზავნება გზავნილი . თუ გზავნილი კომერციული დანიშნულებით იგზავნება (მაგ ხორციელდება გზავნილში მოთავსებული ნივთის გაყიდვა) დაუშვებელია მონიშნოთ კატეგორია „კომერციული ნიმუში“.

- (12) მიუთითეთ გზავნილის შიგთავსთან დაკავშირებული კომენტარი, მაგ. წარმოადგენს თუ არა გზავნილის შიგთავსი კარანტინის ან სანიტარული/ფიტოსანიტარული შემოწმებას დაქვემდებარებულ საქონელს, ან ხომ არ ვრცელდება მასზე რაიმე შეზღუდვები.(აღნიშნული ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია „საქართველოს ფოსტის“ ვებ. გვერდზე, დახმარების ველში (<http://www.gpost.ge/?site-lang=ka&site-path=help/requirements/>))
- (13) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს გარკვეული სახის ლიცენზია. ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასევე მიუთითეთ ლიცენზიის ნომერი.
- (14) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს გარკვეული სახის სერთიფიკატი. ასეთის არსებობის შემთხვევაში ასევე მიუთითეთ სერთიფიკატის ნომერი.
- (15) მონიშნეთ ველი, თუ გზავნილს თან ახლავს ინვოისი. ასეთის არსებობის შემთხვევაში ასევე მიუთითეთ ინვოისის ნომერი.
- (16) მიუთითეთ იმპორტიორის საიდენტიფიკაციო/საგადასახადო კოდი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული ველის შევსება ნებაყოფლობითია.
- (17) მიუთითეთ იმპორტიორის ფაქსი/ელ.ფოსტა (თუ ცნობილია);
- (18) მიუთითეთ გზავნილის საერთო წონა;
- (19) მიუთითეთ მხოლოდ გზავნილის გაგზავნის ღირებულება („საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად) ლარში;
- (20) მიუთითეთ სადაზღვევო პრემიის საფასური ლარში (თანხა რომელსაც იხდის გამგზავნი, გზავნილის დაზღვევისთვის).
- (21) მიუთითეთ სულ გადასახადი თანხა (გზავნილის გაგზავნის ღირებულება+სადაზღვევო პრემიის საფასური) ლარში;
- (22) მიუთითეთ გამგზავნი სერვისცენტრის ნომერი და გაგზავნის თარიღი;
- (23) მიუთითეთ გზავნილის გაგზავნის თარიღი;
- (24) მიუთითეთ გზავნილის გაგზავნის დრო;
- (25) გამგზავნი ხელმოწერით აფიქსირებს ფორმაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეს და მიუთითებს ხელმოწერის თარიღს.
- (26) მოცემულ ადგილას დაიტანება გზავნილის საიდენტიფიკაციო ნომერი.
- (27) გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარებისას, ადრესატის მომსახურე საფოსტო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს, რომ მიეთითოს გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარების თარიღი და დრო, ასევე გზავნილის უშალოდ მიმღები პირის სახელი/გვარი და ხელმოწერა;